

სექტორის ზოგადი მიმოხილვა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტი

2021 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა. ბიუჯეტით დამტკიცებული 19.2 მლრდ. ლარიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) 593.1 მლნ.ლარს (მთლიანი ბიუჯეტის 3.1%-ს) მიიღებს. სამინისტრო, მისთვის გამოყოფილი თანხიდან 14.5 მლნ. ლარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაზე (MEPA-ს მთლიანი ბიუჯეტის 2.4%) დახარჯავს, 507.7 მლნ. ლარს (სამინისტროს მთლიანი ბიუჯეტის 85.6%) – სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, დაახლოებით 85.4 მლნ. ლარს (12.0%) კი – გარემოს დაცვაზე.


2021 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის განვითარების ბიუჯეტი დაახლოებით 5.6%-ით შემცირდება. მთლიანი ბიუჯეტის შემცირების მიუხედავად, დამატებით სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებს სურსათის ეროვნული სააგენტო (NFA) და მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო (ე.წ. მიწის სააგენტო), მათი ბიუჯეტები გაიზრდება, შესაბამისად, 103.5%-ით და 47.4%-ით. მცირედით, 1.5%-ით გაიზრდება საქართველოს მელიორაციის ბიუჯეტიც. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დამატებით ხარჯებს გამოყოფს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ერთობლივ პროგრამაზეც (43.8%-ით მეტს, ვიდრე 2021 წელს), ხოლო ღვინის ეროვნული სააგენტოს (NWA) და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (SRCA) ბიუჯეტები მცირდება, შესაბამისად, 44.5%-ით და 8.1%-ით. სოფლის განვითარების სააგენტოს (RDA) დაფინანსება კი წინა წელთან შედარებით 6.8%-ით შემცირდება.

მიუხედავად იმისა, რომ სახსრების გადანაწილება ოდნავ შეიცვალა, წინა წლების მსგავსად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) ბიუჯეტის უდიდესი წილი სოფლის განვითარების სააგენტოზე (RDA) (51.5%), საქართველოს მელიორაციასა (GA) (18.1%) და ღვინის ეროვნულ სააგენტოზე (NWA) (16.7%) დაიხარჯება. სოფლის განვითარების სააგენტო (RDA) გააგრძელებს 20-მდე პროგრამის დაფინანსებას, რომელთა შორის იქნება „შეღავათიანი აგროკრედიტი“, ყველაზე მაღალი ბიუჯეტით – 121 მლნ. ლარი (მთლიანი ბიუჯეტის 46%). 40 მლნ. (15%) დაიხარჯება პროგრამაზე „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის თანადაფინანსების“, 27 მლნ. (10%) კი – პროგრამაზე „დანერგე მომავალი“.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტებსაც, ესენია:

- ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა და ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება;
- ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაუმჯობესება;
- მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო მიწების პრივატიზებისა და მიწის სისტემატური რეგისტრაციის გზით.

სახელმწიფო ბიუჯეტი ფუნქციური მიმართულებების მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2022 წ.


ფასები

ადგილობრივი ფასები


თვიურ ჭრილში, ქვეყანაში ფასების დონე 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის თებერვლამდე გაიზარდა. 2021 წლის დეკემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) ნოემბერთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა (0.3%) მაშინ, როცა 2022 წლის იანვარში ფასები წინა თვესთან შედარებით 1%-ით გაიზარდა. შესაბამისად, თვიდან თვესთან შედარებით, თებერვალში ფასების შესაბამისი ზრდა 0.9% იყო.

2021 წლის დეკემბერიდან 2022 წლის თებერვლამდე, სურსათის ფასების ინდექსით (FPI), სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასმაც აღმავალი ტენდენცია აჩვენა. 2021 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, სურსათზე ფასები მცირედით, 0.8%-ით გაიზარდა. 2022 წლის იანვარში კი სურსათის ფასები თვიურ ჭრილში 2.5%-ით გაიზარდა, თებერვალში – 2.1%-ით.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (დეკემბერი 2021 - თებერვალი 2022)



სურსათის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (დეკემბერი 2021 - თებერვალი 2022)




წყარო: საქსტატი, 2022. შენიშვნა: ინდექსის მნიშვნელობა წინა თვეში უდრის 100-ს.

წლიურ ჭრილში, სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის თებერვლამდე ზრდას განაგრძობდა. 2021 წლის დეკემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 2020 წლის დეკემბერთან შედარებით 13.9%-ით გაიზარდა; ხოლო იანვარსა და თებერვალში ფასების ცვლილებები წლიურ ჭრილში 13.9% და 13.7% იყო.

2022 წლის თებერვალში, ფასები სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში წლიურ ჭრილში ფასებიც მნიშვნელოვნად, 17.3%-ით გაიზარდა, რამაც მთლიანი სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 5.61 პროცენტული პუნქტით გაზარდა. ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ზრდამ შემდეგ ქვეჯგუფებში:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ბოსტნეული და ბალჭეული (34%^ა)

მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (23.4%^ა)



პური და პურპროდუქტები (20.4%^ა)

წყარო: საქსტატი, 2022 წ.

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე

ბოლო ორი წლის განმავლობაში სურსათის ფასები იზრდებოდა საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტენდენციების გამო, რაც გამოიწვია წარმოების შემცირებამ, ნავთობის ფასების ზრდამ, ასევე, COVID-19-ის პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა. 2022 წლის თებერვალში, შავი ზღვის რეგიონში დამაბულობის ესკალაციამ, რასაც მოჰყვა რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში, გაზარდა ზეწოლა სურსათის საერთაშორისო ბაზრებზე, სადაც ფასები უკვე ისედაც აღმავალი ტრენდით ხასიათდებოდა. იმის გამო, რომ უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია, ასეთი მიმდინარე ტენდენციები სწრაფად აისახა ადგილობრივ ფასებზე, რომლებიც განსაკუთრებით გაიზარდა შემდეგ კატეგორიებში:


ბოსტნეული და ბაღჩეული – ამ კატეგორიაში ფასების ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა კომბოსტოსა (238%) და ბადრიჯანზე (81%). ვაჭრობის სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის თებერვალამდე იმპორტირებული ბოსტნეულის ღირებულება 21%-ით გაიზარდა – 8,7 მლნ-დან 10,5 მლნ. აშშ დოლარამდე. იმპორტირებული ბოსტნეულის ღირებულების ზრდა შესაძლოა გამოიწვია იმპორტის გაძვირებამ. იმპორტის გაძვირება, თავის მხრივ, ფასებზეც აისახა. იმის გამო, რომ იმპორტირებული ბოსტნეულის შესაბამისი რაოდენობის სტატისტიკა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, ისევე, როგორც შიდა წარმოებისა, ძნელია ბოსტნეულის ფასების გაზრდის ზუსტი მიზეზის დადგენა.

მინერალური წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები – 2022 წლის თებერვალში ამ ქვეკატეგორიაში ყველა პროდუქტზე გაიზარდა ფასები.

ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა არაგაზირებულ (29%) და გაზირებულ (25%) მინერალურ წყლებზე. ვაჭრობის სტატისტიკიდან ჩანს, რომ 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის თებერვალამდე მინერალური წყლების ექსპორტი (როგორც არაგაზირებულის, ისე გაზირებულის) გაიზარდა როგორც რაოდენობით, ისე ღირებულებით. ეს შეიძლება იყოს გაზრდილი საგარეო მოთხოვნის ნიშანი, რაც ფასების ზრდას იწვევს.

პური და მარცვლეული – 2021 წლის ნოემბერში ამ კატეგორიაში ყველაზე მეტად ხორბლის პურისა (22%) და ხორბლის ფქვილის ფასები (21%) გაიზარდა. ვინაიდან რუსეთი საქართველოსთვის ხორბლის მთავარი მომწოდებელია, ქვეყნის სავაჭრო შემზღუდავმა ზომებმა გავლენა იქონია პურისა და მარცვლეულის კატეგორიის ფასების ზრდაზე.

ბოსტნეულის, მინერალური წყლებისა და პურისა და პურპროდუქტების ფასების წლიური ცვლილება (დეკემბერი 2021 - თებერვალი 2022)




წყარო: საქსტატი, 2022 წ.

საერთაშორისო ფასები

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის თებერვალამდე საერთაშორისო ფასები წლიურ ჭრილში გაიზარდა. 2022 წლის თებერვალში, 2021 წლის თებერვალთან შედარებით, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი მკვეთრად გაიზარდა (20.7%) და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ფასების ყველაზე დიდი ზრდა (36.8%) დაფიქსირდა მცენარეული ზეთის ქვეინდექსის ფარგლებში. მცენარეული ზეთის ფასების ასეთი მკვეთრი ზრდა პალმისა და მზესუმზირის ზეთების ფასების ზრდამ გამოიწვია. პალმის ზეთის საერთაშორისო ფასების ზრდის მიზეზი იმპორტზე მოთხოვნის ზრდაა, რაც ინდონეზიის, მთავარი ექსპორტიორის, წარმოების შემცირების შედეგია. ამავდროულად, შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა მზესუმზირის ზეთის საერთაშორისო ფასების ზრდა განაპირობა.

საერთაშორისო ფასების წლიური ცვლილება (დეკემბერი 2021 - თებერვალი 2022)




წყარო: FAO, 2022 წ.

ვაჭრობა


2022 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს მთლიანი ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 760 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 55%-ით აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (492 მლნ. აშშ დოლარი). გაიზარდა სოფლის მეურნეობის ექსპორტიც, თუმცა შედარებით ზომიერი ტემპით (14%) – 2021 წლის 140 მლნ. აშშ დოლარიდან 2022 წლის 159 მლნ. აშშ დოლარამდე. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 2021 წელს არსებული 29%-დან 2022 წელს 21%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია 47%-იანი ზრდა მთლიან იმპორტშიც; 2021 წლის იანვარ-თებერვალში 1,210 მლნ. აშშ დოლარიდან 2022 წლის იმავე პერიოდში 1,781 მლნ. აშშ დოლარამდე. მსგავსი ზრდის ტენდენცია შეინიშნება სოფლის მეურნეობის იმპორტის მხრივაც – 2021 წლის 152 მლნ. აშშ დოლარიდან 2022 წლის 218 მლნ. აშშ დოლარამდე (43%). სოფლის მეურნეობის იმპორტის წილი მთლიან იმპორტში ანალოგიურ დონეზეა, შეინიშნება მცირე კლება – 2021 წლის 13%-დან 12%-მდე 2022 წელს. თებერვალში ქართული ლარის გაუფასურებამ, შესაძლოა, დამატებით ხელი შეუწყოს ექსპორტის შემდგომ ზრდას, თუ გაცვლითი კურსის ეს ტენდენცია გაგრძელდება. მეორე მხრივ, ეს დადამავალ ზეწოლას მოახდენს იმპორტზე. მთლიანობაში, წელი ქართულ ექსპორტთან მიმართებით პოზიტიური ტენდენციით დაიწყო და, იმედია, ეს მთელი წლის განმავლობაში შენარჩუნდება.

მთლიანი და აგრო იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)



მთლიანი და აგრო ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი, 2022 წ. შენიშვნა: აგრო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათს.

საინტერესოა იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რამ გამოიწვია აგრო იმპორტის ასეთი ზრდა. პროდუქტების კატეგორიების მიხედვით, ყველაზე მაღალი ზრდა გეხვდება შემდეგ სასაქონლო კატეგორიებში:

- ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ხორბლის წებოვანა (სასაქონლო კოდი 11);
- მცენარეული წარმოშობის სხვა პროდუქტები სხვა ადგილას დაუსახელებელი (სასაქონლო კოდი 14);
- ცოცხალი ცხოველები (სასაქონლო კოდი 01);
- შელაქი ბუნებრივი გაუსუფთავებელი; ფისები და სხვა მცენარეული წვენები და ექსტრაქტები (სასაქონლო კოდი 13);
- რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი (სასაქონლო კოდი 04).

ყველაზე დიდი ზრდა ფიქსირდება ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქტებზე, რომლებიც თითქმის შვიდჯერ გაიზარდა – 1 892 ათასიდან 14 780 ათას აშშ დოლარამდე (681%). ეს აიხსნება ხორბლის საერთაშორისო ფასების ზრდით და უკრაინაში მიმდინარე ომით, რაც ხელს უშლის იმპორტს საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორებიდან. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მცენარეული წარმოშობის სხვა პროდუქტებზეც, 6 ათასიდან 30 ათას აშშ დოლარამდე (369%), რასაც მოსდევს ცოცხალი ცხოველის იმპორტის ზრდა 85%-ით, 2018 ათასიდან 3 743 ათას აშშ დოლარამდე. მცენარეული წვენისა და ექსტრაქტების ჯგუფში ზრდამ 82% შეადგინა – 162 ათასიდან 295 ათას აშშ დოლარამდე. ბოლოს, ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტების იმპორტის ღირებულების შესაბამისმა ცვლილებებმა 80%-იანი ზრდა აჩვენა 8 212 ათასიდან 14 753 ათას აშშ დოლარამდე.

ტოპ 5 საიმპორტო პროდუქტი ღირებულების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი, 2022 წ.

პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს მთავრობა ერთწლივანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯებისთვის აღებულ სესხს დაასუბსიდირებს

საქართველოს მთავრობა ერთწლივანი კულტურების მოყვანის მიზნით ფერმერებზე გაცემულ საბანკო სესხებზე საპროცენტო განაკვეთს დაასუბსიდირებს. ეს ქვეკომპონენტი დაემატება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს“, რომლის ფარგლებშიც, სოფლის განვითარების სააგენტო გაცემული სესხის 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას განახორციელებს, წლიური 9 პროცენტის ოდენობით. სესხის მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება 18 პროცენტით. ფერმერებს შეეძლება მიიღონ ფულადი რესურსები, რომლებიც საჭიროა ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად, როგორცაა სათესლე და სარგავი მასალები, ასევე, მუშახელისათვის, იჯარის გადასახადისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საწვავისა და არსებული აღჭურვილობის გაუმჯობესებისათვის.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20722>

სოფლის განვითარების სააგენტო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობ ახალ პროგრამას განახორციელებს

სოფლის მეურნეობის კოოპერატივების საწყობების თანადაფინანსების ინიციატივის ფარგლებში, საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს მოსავლის შენახვისა და გაგრილების ინფრასტრუქტურის თანადაფინანსებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ბოსტნეულისა და კარტოფილის შესანახად. 500 ტონა ტევადობის შემნახველი საწარმოს თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს, მისი ჯამური ღირებულების არაუმეტეს 80 პროცენტს და არაუმეტეს 450 000 ლარს.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული: https://www.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=579&info_id=81494

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების
პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

ავტორები: სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge
ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge